საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-132

12/02/2020

ქ. თბილისი

„შპს „მარტ გადამუშავება“-ს „ნარჩენების აღდგენის, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა (აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების გადამუშავება) საწარმოზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 7 აგვისტოს №ი-613 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „მარტ გადამუშავების“ მინდობილმა პირმა და ითხოვა 2015 წლის 5 აგვისტოს №44 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება.

2015 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „მარტ გადამუშავების“ ნარჩენების აღდგენაზე, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა (აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების დამუშავება) გაიცა №44 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (05.08.2015) და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საწარმო აღარ ფუნქციონირებს, რაც დადასტურდა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ საწარმოს ტერიტორიის დათვალიერება/შესწავლის შედეგად. ამასთან, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დათვალიერების შესახებ ინსპექტირების აქტის (N006927; 27.01.2020) თანახმად, ტერიტორიაზე საწარმოო ან სახიფათო ნარჩენები არ დაფიქსირდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „მარტ გადამუშავების“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „მარტ გადამუშავება“-ს „ნარჩენების აღდგენის, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა (აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების გადამუშავება) საწარმოზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და

ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 7 აგვისტოს №ი-613 ბრძანება;

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „მარტ გადამუშავებას“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მარტ გადამუშავების“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი